

ერთად გავიხსენოთ 2016 წლის „გაიფუნოვაბი“

გასული 2016 წელი ქართული პოლიტიკისათვის და არა მხოლოდ პოლიტიკისათვის, საკმაოდ მრავალფეროვანი და დაძაბული იყო. ყველაზე მთავარი პოლიტიკური მოვლენა ალბათ საპარლამენტო არჩევნები და „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით ხელისუფლებაში დარჩენაა. თუმცა, ყველაზე მტკივნეული მაინც ლარის რეკორდული გაუფასურებაა, რომელიც საქართველოს მოსახლეობა 2017 წელს ეგებება.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. მართალია „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ექსპერტები ვარაუდობდნენ, თუმცა არა საკონსტიტუციო უმრავლესობით. უფრო მეტიც, დავით თარხან-მოურავის და ირმა ინაშვილის „პატრიოტთა ალიანსის“ მესამე ძალად შესვლას პოლიტიკური ცივი უზაპის ეფექტი ჰქონდა ყველასთვის. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ის ჯაჭვური რეაქცია, რაც არჩევნებში დამარცხებამ გამოიწვია პოლიტიკურ ოპოზიციაში - ირაკლი ალასანია და მისი თანამებრძოლები პოლიტიკიდან საერთოდ წავიდნენ, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა „რესპუბლიკური პარტია“ დატოვა და პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღო, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ლამის დაშლის ზღვარზე დგას - ყოფილ სახელისუფლებო პარტიაში ჯერ დავა იმაზე დაიწყო, უნდა შესულიყვნენ თუ არა პარლამენტში, ხოლო შემდეგ იმაზე გაგრძელდა - უნდა დარჩეს თუ არა პარტიის თავმჯდომარის პოზიცია ვაკანტური მიხეილ სააკაშვილისთვის. ამ საკითხებზე პარტიის შიგნით ატეხილი დავიდაბრება, 2017 წლის თავისტიკვილდაც დარჩება.

გასული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა კი, რომელიც ამავე დროს ყველაზე მტკივნეულიცაა, ლარის რეკორდული დეველუაციაა. დოლართან მიმართებაში ჩვენი ეროვნული ვალუტა ისტორიულ მინიმუმამდე დავა და გასცდა კიდევ. თუმცა, მთავრობის მტკიცებით მაინც ყველაფერი კარგადაა და ლარის ასეთი გაუფასურება გარე ფაქტორების ბრალია და მთავ-



რობის ეკონომიკური თუ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა არაფერ შუაშია. უფრო მეტიც - ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა რომ წარმატებულია, ამის დასადასტურებლად ყოფილმა ეკონომიკის მინისტრმა, ამჟამად ფინანსთა მინისტრად დამტკიცებულმა დიმიტრი ქუმსიშვილმა პარლამენტში უნდა და ემოციური არგუმენტი მოიყვანა ჯიბიდან ამოღებულ ბლუჯა ფულზე და ტანში სასიამოვნოდ ყრიალზე. „როდესაც მე ქალბატობს 100-ლარიანი გავუწოდებ, მან ჯიბიდან ამოიღო ფულის

ბლუჯა! ახლაც ტანში მაყრიალებს. გეფიცებით, სიამოვნებისგან კინაღამ დავკოცნე ის ქალი“ - ემოციურად განუცხადა ბატონმა ქუმსიშვილმა პარლამენტარებს, რომლებიც მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ.

გასული წელი ალბათ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გასაჯაროების ფაქტითაც დაგვა-მასხვრდება, როდესაც ფართულად გადაღებული მასალების ინტერნეტ სივრცეში ატვირთვა მოხდა პოლიტიკოსების შანტაჟის მიზნით და

ამას საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. უფრო მეტიც, ალბათ ყველას დაამახსოვრდა პრეზიდენტის საჯარო განცხადება მდიდარი სექსუალური ცხოვრების თაობაზე.

რაც შეეხება არაპოლიტიკურ ხასიათის მომენტებს, ყველაზე ხმაურიანი და დასამახსოვრებელი იყო ბიძინა ივანიშვილის მიერ ასწლოვანი ტიტას ყიდვა და დენდროლოგიურ პარკში გადარგვა, რომლის სურათებმაც მოიარა მთელი ინტერნეტ სივრცე და რომელსაც არაერთი ხუმრობა თუ კრიტიკა მიემდგინა.

და ბოლოს, გასული წლის ყველაზე სასიამოვნო და უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ქართული დამწერლობის აღიარება მსოფლიოს მიერ. იუნესკოს გადაწყვეტილება იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის მთავრობათაშორისმა კომიტეტმა მე-11 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით ქართული დამწერლობა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

გობნა პაპაშვილი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სტუდენტებს სწავლის გადასახადი სრულად დაუფინანსდებათ

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სტუდენტებს სწავლის საფასურს დაუფინანსებს.



დააფინანსებს. სტუდენტთა ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის განკარგულებით

ხორციელდება და გულისხმობს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული იმ სტუდენტების დაფინანსებას, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგისა და მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ სტუდენტები, რომელთა

ოჯახებმაც რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის გადმოწევის, მავთულხლართების გავლებისა და სხვა ბარიერების აღმართვის შედეგად მიიღეს ქონებრივი ზიანი და რომლებიც სწავლობენ ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მიზანი ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის

მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ სტუდენტების სწავლაში ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერაა.

PS news.ge ISSN 1987-7056 9771987705004

სოფლად ბიზნესის ხელშეწყობა - ეკონომიკური განვითარების სანიღარი

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, რადგან აღნიშნულ დარგს დიდი წვლილი შეაქვს სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. დარგის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკისთვის მოწმობს ოფიციალური სტატისტიკაც: ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 23%-ით, პროდუქციის გამოშვება კი 83%-ით გაიზარდა¹. მიღწეულ პროგრესს უზრუნველყოფს მრავალი სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორის ერთობლივი ძალისხმევა, მათ შორის იმ ბიზნეს-კომპანიებისა, რომლებიც საკუთარი კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში ძალისხმევას არ იშურებენ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად. ასეთი კომპანიების რიცხვს მიეკუთვნება BP, რომლის მიერ დაფინანსებული პროექტის შესახებ ჩვენს გაზეთში უკვე ვწერდით ამა წლის აგვისტოში. იმისათვის, რომ შევახსენოთ მკითხველს ძირითადი მომენტები, მოვიყვანოთ პროექტის მოკლე რეზიუმეს.



მილანი ჩინჩალაძე - სოფ. ანდიათი, სასხოზი

„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი“, რომლის მეორე ფაზა 2015 წლის ივლისიდან დაიწყო, ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენების კომპანიაში. პროექტის მიზანია ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მდებარე თემების კეთილდღეობის ამაღლება ბიზნესის წამოწყებისა და განვითარების ხელშეწყობით. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია კონკურსის საფუძველზე მცირე გრანტების გაცემა დამწყები მიკრო-ბიზნესებისთვის და ბენეფიციართა სამეწარმეო და პროფესიული უნარების განვითარება სხვადასხვა სახის ტრენინგებისა და კონსულტაციების საშუალებით. დასავლეთ საქართველოში პროექტს ახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრი. პროექტი ხორციელდება ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების 60 სოფელში. დღეისათვის წელიწადნახევარი გავიდა პროექტის დაწყების დღიდან; კარგი დროა მიღწეული შედეგების შესაფასებლად. შეიძლება ითქვას, რომ შუალედური შედეგები საკმაოდ მთავრად გამოიყურება:

- 3400-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო ინფორმაცია პროექტის შესახებ უშუალოდ განმარტაციულ გუნდისგან კარდაკარ ვიზიტების და სათემო შეხვედრების ფარგლებში. პროექტის თანამშრომლებმა მრავალჯერის მოინახულეს მიზნობრივი სოფლები, რათა მოეცვათ პოტენციურად დაინტერესებულ ადამიანთა რაც შეიძლება ფართო წრე, ინფორმაციის გავრცელების ყველა შესაბამისი არხის გამოყენებით.
- ჩატარდა 2 საგრანტო კონკურსი, რომელთა ფარგლებში სულ შემოვიდა 818 განაცხადი, რაც მოწმობს მაღალი დაინტერესების შესახებ პროექტის მიმართ.

- 239 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ბიზნეს-გეგმის დაწერასთან დაკავშირებულ ტრენინგებში და 207-მა მათგანმა წარადგინა ბიზნეს-გეგმები კომპეტენტური კომისიის განსახილველად. უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტური უმეტესობისთვის ეს იყო პირველი მსგავსი გამოცდილება და კონკურსის მონაწილეებმა შეიძინეს ღირებული ცოდნა, რომლის გამოყენებას ისინი შემდგომშიც შესძლებენ.
- სულ დაფინანსდა 120 მეწარმე, მათ შორის 113 დამწყები და შვიდი პროექტის პირველ ფაზაში მხარდაჭერილი ბიზნესი. ყველა მათგანმა შეიძინა მოთხოვნილი კაპიტალური აქტივები და დაიწყო საწარმოო საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ პროექტის მეთოდოლოგიის მიხედვით გრანტის მიმღებებს მოეთხოვებათ სწორედ კაპიტალური და არა საბრუნავი აქტივების შექმნა - ამით იზრდება შექმნილი ბიზნესების მდგრადობა. ვინაიდან პროექტი სოფლის თემებში ხორციელდება, მხარდაჭერილი ბიზნესების უმეტესობა სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული, თუმცა არცთუ

- მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ისეთი არასასოფლო-სამეურნეო საწარმოები, როგორცაა საცხოვრებელი, სამკერვალოები, სილაბაზის სალონი და სხვ. მეწარმეთა თანამონაწილეობა შეადგენს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის არანაკლებ 30%-სა.
- 104 ადამიანმა გაიარა დარგობრივი ტრენინგები წარმოების ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ბიზნესის წარმატებული განვითარებისთვის და გაფართოებისთვის. ყველა დაფინანსებულმა მიკრო-მეწარმემ გაიარა ასევე ტრენინგები საგადასახადო დაბეგვრის საკითხებზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროექტის გუნდის ძალისხმევა დაფინანსებულ მეწარმეთა ტექნიკური კომპეტენციების ამაღლებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად ყოველი ვიზიტის დროს ეკონომიკური განვითარების სპეციალისტები ბენეფიციარებს უტარებენ მინი-სესიებს დაგეგმვაში, წარმოების ორგანიზაციასა და აღრიცხვაში, კლიენტზე ორიენტირებულობაში და ა.შ.

რა თქმა უნდა, პროექტში

ჩართულ ბენეფიციარებს ყველა აღნიშნული სერვისი მიეწოდება უსასყიდლოდ, უფრო მეტიც, გამომდინარე სოფლის მოსახლეობის მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობებიდან, მათ უნაზღაურდებათ პროექტის ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამგზავრო ხარჯები.

პროექტის საინტერესო სახლეს წარმოადგენს „მენტორობა“, როდესაც უფრო გამოცდილი მეწარმეები - მენტორები უზიარებენ ცოდნას დამწყებებს და პრაქტიკული რჩევებით ეხმარებიან მათ. მენტორებს ირჩევენ პროექტის ბენეფიციართა რიცხვიდან, არა მარტო კარგი საწარმოო შედეგების, არამედ შესაბამისი პიროვნული თვისებებისა და ცოდნის გაზიარების მზაობის მიხედვით. მენტორები კარგად იცნობენ ბიზნესის ადგილობრივ კონტექსტს და პრაქტიკულ ასპექტებს და დამწყებთა განსაკუთრებული ნდობით სარგებლობენ. უშუალო შეხვედრების გარდა ისინი მუდმივ სატელეფონო კავშირზე არიან ახალბედა კოლეგებთან. თავად მენტორები ამგვარად აუმჯობესებენ საკუთარ საკომუნიკაციო უნარებს და აგროვებენ სოციალურ კაპიტალს. არ არის გამორიცხული, რომ ერთ დღეს ისინი სრულფასოვანი პროფესიული კონსულტანტების სახით მოგვევლინონ.

პროექტის მენეჯერის, მარიანა ლოთიაშვილის თქმით, დამატებით ფასეულობას პროექტს ანიჭებს ის, რომ „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა“ მთლიანად შეესაბამება ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების საფუძემდებლო დოკუმენტის „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის“ შინაარსს.

როგორ აფასებენ პროექტის თავად ბენეფიციარები?

„2015 წელს გავიმარჯვე საგრანტო კონკურსში, რითაც დიდი ხნის ოცნება ავიხდინე, - ამბობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთის მცხოვრები მილენი ჩინჩალაძე. „BP-ის დაფინანსებით გავხსენი პურის საცხობი, რომელიც მანამდე სოფელში არ იყო და ადამიანებს მეზობელი სოფლებიდან ჩამოჰქონდათ პური. ჩემი ოჯახის წევრები მეხმარებიან საქმეში, გავიჩინა სტაბილური შემოსავლის წყარო, მყიდველიც მრავლად მყავს, სოფელიც კმაყოფილია. ვფიქრობ პურის ასორტიმენტის გაფართოებაზე, ახლახანს CTC-ს დაფინანსებით გავიარე ლავაშის ცხობის ტრენინგი და აუცილებლად გამოვიყენებ ამ ცოდნას ახლო მომავალში. მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის გარეშე მე ამას ვერ მოვახერხებდი და უაღრესად მაღლობელი ვარ როგორც BP-ს, ასევე კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის, რომლის თანამშრომლები ყოველნაირად ხელს გვიწყობენ ჩვენი ბიზნესის განვითარებაში“.

BP-ს მიმართ მაღლიერებას გამოხატავს ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაფნარის მცხოვრები ლალი ჭინჭარაული, რომელმაც აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიძინა მინი-ინკუბატორი. უკვე ერთი წელია, რაც აღნიშნულ ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილები იყიდება სოფელში. ქალბატონი ლალი ასევე ეხმარება თანასოფლელებს საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში მისი ინკუბატორი გამოიყენონ წიწილების გამოსაჩეკად. „მაღლობას ვუხდის კომპანია BP-ს და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს ასეთი საჭირო და სასარგებლო პროექტის განხორციელებისთვის. ვისურვებდი, რომ მსგავსი პროექტები უფრო ხშირი და ხანგრძლივი იყოს,“ - ამბობს ქალბატონი ლალი.

მინდა გამოვხატო იმედი, რომ დაცლის პირას მყოფ სოფლებში მცირე ბიზნესის განვითარება არამარტო დასაქმებას გაზრდის, არამედ შიდა მიგრაციის მაღალ ტემპსაც შეაჩერებს, რისი ძირითადი გამომწვევი მიზეზი სწორედ შემოსავლის სიმცირეა და რის გამოსწორებასაც უწყობენ ხელს მსგავსი ტიპის პროექტები.



ლალი ჭინჭარაული - სოფ. დაფნარი, მინი ინკუბატორი



„იმიჯი“ შეიძინა „მაესტრო“ და „GDS“, თუ პირიქით — „GDS“-მა შეიძინა ორივე?

ტელეკომპანია „იმიჯი“ განაცხადა, რომ „წარმატებით“ დასრულებული მოლაპარაკებების შედეგად ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტრაქტო პაკეტი 2017 წლიდან მის საკუთრებაში გადავა.

27 დეკემბერს გაერო-საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კონვენციის ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა, ინა გულავეაძემ, რომელიც ტელევიდეის 100%-იანი წილის მფლობელია, ასევე განაცხადა, რომ „დასასრულს უახლოვდება მოლაპარაკებები ტელეკომპანია GDS-ის ნაწილის შექმნასთან“ დაკავშირებით.

ტელეკომპანია GDS-ის 100%-იანი წილის მფლობელი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის შვილი, ბერაა, რომელმაც ეს ტელევიზია 2012 წლის ბოლოს დააარსა, როგორც გასართობი არხი, თუმცა 2015 წელს ფორმატის შეცვლის შემდეგ მას პოლიტიკური გადაცემები დაემატა.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სულ მალე ეს გარიგებაც წარმატებით დასრულდება“, - აცხადებს ინა გულავეაძე, „უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გარიგება არ ეხება Georgian Dream Studios-ს, რომელიც დარჩება მისი დღევანდელი მფლობელის საკუთრებაში“.



განაცხადებში გარიგების სხვა დეტალებზე, მათ შორის ფინანსურ ღირებულებებზე საუბარი არ არის. ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტრაქტო პაკეტის მფლობელი წლის დასაწყისში შექმნილ შორის მიმდინარე დავის შედეგად მომღერალი გია გაჩეჩილაძე, იგივე „უცნობი“ გახდა. ტელეკომპანიაში მისი წილი 55%-ს

შეადგენს, 25% მკა ასათიანს ეკუთვნის; 15%-ის მფლობელი „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა ლლონტია, ხოლო 5% ეკა აკობიას ეკუთვნის. „მოლაპარაკებები ტელეკომპანია მაესტროს საკონტრაქტო პაკეტის შექმნასთან დაკავშირებით წარმატებით დასრულდა და 2017 წლის იანვრიდან ტელეკომპანია მაესტრო

გახდება პოლინგ „იმიჯის“ შემადგენელი ნაწილი“, - ნათქვამია გულავეაძის განცხადებაში. „იურიდიული და ფინანსური პროცედურების დასრულების შემდეგ მედიაპოლინგი „იმიჯი“ ტელევიზიურ ბრენდს შესთავაზებს განახლებულ, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ სატელევიზიო არხებს, რომლებიც უპასუხებენ მაყურებელთა

ფართო სპექტრის მოთხოვნებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

„გვერდია, რომ გამოცდილი პროფესიონალების გაერთიანებული გუნდი და განახლებული მედიამენტი ლირსეულ წვლილს შეიტანს საქართველოს მედია სივრცის განვითარებაში“, - აცხადებს გულავეაძე.

მისი ამ განცხადების გაერო-საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კონვენციის ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქვრივმა, ინა გულავეაძის ფინანსური რესურსის გამოყენებით პოლინგის შექმნის გეგმები დაადასტურა, თუმცა განაცხადა, რომ შესაძლებელია არ იცვლებიან.

„მაესტროს“ ერთ-ერთმა მეწილემ მამუკა ლლონტიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ პროცესის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას.

„მე ასე ვიტყვი, რომ GDS-მა შეიძინა „იმიჯი“ და „მაესტრო და ყველაფრის ამის უკან, მე ვხედავ, ხელი-სუფლებას და ბიძინა ივანიშვილს“, - განაცხადა ლლონტიამ.

www.civil.ge

„მეც ამ ქალაქის ერთი უბე ვარ“ გაიცანით ქუთაისელი პროექტი დათო შალამბერიძე

ქუთაისი ყოველთვის გამოირჩეოდა პოეტური მრავალფეროვნებით. ის ფაქტი რომ „ცისფერყანწილები“-ს შემდეგ მეორე პოეტური ორდენიც „სამკაული“- აქ ჩამოყალიბდა იმ პოეტური ტრადიციის გაგრძელებაა, რაც ასეთი ორგანულია ამ პატარა ქალაქისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოეტური ორდენი უკვე დიდი ხნის დაშლილია, მათ მიერ შექმნილი პოეზიით დღემდე ტკბება საზოგადოება, რაც, ვფიქრობ, ყველა პოეტის მთავარი გამარჯვებაა. საბედნიეროდ, ახალგაზრდა პოეტების სიმცირეს არც დღევანდელი ქუთაისი განიცდის. გვინდა ერთ-ერთი მათგანზე გვესაუბროთ. მელისას P.S. აგრძელებს ნიჭიერი ახალგაზრდების საზოგადოებისათვის გაცნობას. რუბრიკა - „დებიუტის“ სტუმარია 21 წლის ქუთაისელი პოეტი დათო შალამბერიძე, რომელსაც მიუხედავად თავისი გამორჩეული პოეტურობისა და წარმატებებისა, ფართო საზოგადოება ჯერ არ იცნობს. მიუხედავად დათოს ასაკისა, მისი ლექსები არის ღრმა შინაარსის და რთული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური იდეის მატარებელი, რის გამოც მათი აღქმა და გაგება ყველას არ შეუძლია. ის ფრაზებში და რითმებში ატყვს ყველა იმ პრობლემასა თუ პროტესტს, რაც მისთვის შთაგონების წყარო, წერის მუზა ხდება.

ავტობიოგრაფია

დავბადე 1995 წელს, ქალაქ ქუთაისში. წერა აღრეულ ასაკში დაიწყო. სკოლის პერიოდში სხვადასხვა კონკურსში გმონაწილეობდი, კონკრეტულად, მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ ჩატარებულ ლონისძიებებში, რამაც შემმატა გამოცდილება და ამ პირველ ნაბიჯებში წარმატებებსაც მივაღწიე. ჩემი პირველი კრებული, სახელად „ანარეკლი“ 2012 წელს გამოიცა ქუთაისი მერიის დაფინანსებით. ასევე ჩემი ლექსები პერიოდულად იბეჭდება გაზეთ „უქიმირონიში“. 2014 წელს გავიმარჯვე კონკურსში, რომელიც ქუთაისის „შალვა კამლაძის ინიციატივით ტარდებოდა და აღამ მიცკევიჩის შემოქმედების გაცნობის ინიციატივით მიხარდა, რის შემდეგაც ვავემზადე პოლონეთში, სხვა ქუთაისელ ხელოვან ახალგაზრდებთან ერთად და ამ ვიზიტმა დიდად შეუწყო ხელი ქართულ-პოლონური ურთიერთობების დამყარებას კულტურის სფეროში. ესწავლობ თსუ-ში, ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მესამე კურსზე.

რამდენი წლის იყავი ლექსების წერა რომ დაიწყე ან ვინ აღმოაჩინა შენში ეს ნიჭი?

- ლექსების წერა 12 წლიდან დაიწყო და ჩემი პირველი ნაბიჯები პოეზიაში ოჯახურ გარემოში არ გასცდენია. ასე რომ, თავიდან მშობლებმა აღმოაჩინეს.
- რას ნიშნავს შენთვის პოეზია?
- პოეზია ჩემი ალტერნატიული სამყაროა, სადაც თავისუფალი ვარ.
- შენი აზრით, რამდენად კონკურენტული გარემოში ცხოვრობ?
- ვერ ვიტყვი, რომ კონკურენტულ გარემოში ვცხოვრობ, რადგან უმეტესწილად დღეს პოეზია პიარის იარაღად არი ქვეყნის და ვინც მართლაც კარგი ავტორია, ვერ ახერხებს ბოლომდე თავისი შემოქმედების რეალიზაციას და თუ გაუმართლა: რენემ შეამჩნია და წარმატებას მიიღწია, მაშინ უკონკურენტო რჩება, რადგან ხალხის ყურადღება უფრო მისკენა მიმართული, ვიდრე რა-

მელიმე სხვა პოეტისკენ, რომელიც არაა პოპულარული და ხალხი არ იცნობს.

როგორც ცნობილია, ყველა შემოქმედი ადამიანი განსხვავებული და თავისებურად რთული ადამიანია, შენზე რას გვეტყვი?

- ჩემზეც იგივეს ვიტყვი.
- რა თემატიკაზე წერ ძირითადად?
- ვწერ ყველაფერზე, რასაც აღვიქვამ მხატვრულად. ძირითადად, ლირიკაში იჩენ თავს ჩემი გრძობები და შეხედულებები სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით. ასევე, ჩემი ლექსები სოციალურ საკითხებსაც ეხება ხოლმე.
- არის თუ არა შენი ლექსები მიძღვნილი ხასიათის?
- ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ლექსები ვიღაცას ეძღვნება, თუმცა, ჩემი აზრით, მკითხველი შეძლებს ამოიცნოს თავისი გრძობებიც, რითაც დამიახლოვდება მე.
- ვინ არის შენი ლექსების პირველი

მკითხველი?

- დღემდე ჩემი ლექსების ერთგული მკითხველი არის ჩემი ბებო. მას ძალიან უყვარს პოეზია და ვიტყვი, რომ ჩემი ნიჭის გაღვივებაში მასაც დიდი წვლილი მიუძღვის.

სად და როგორ უკეთებ პოპულარიზაციას შენს პოეზიას?

- უფრო მეტად სოციალურ ქსელში. ასევე პერიოდულად იბეჭდება ჩემი ლექსები გაზეთ „უქიმირონიში“.
- საქართველოში მკითხველის სიყვარულის და ნდობის მოპოვება ძალიან რთულია, მზად ხარ შენი შემოქმედების კრიტიკის მოსასმენად?
- რა თქმა უნდა, მზად ვარ, თუკი ეს კრიტიკა ჯანსაღი იქნება და არა ზედაპირული. და ჩემი მთავარი მიზანი არ არის, რომ რაც შეიძლება, მეტი მკითხველი შევიძინო, მთავარია, ჩემი ხმა იმათ მივაწვდინო, ვინც პოეზიას გრძნობს და აზროვნებს.

ამ დროისთვის რამდენი ლექსის ავტორი ხარ?

- ზუსტად არ ვიცი. ბევრის...
- დღევანდელ პირობებში, ახალგაზრდა პოეტებს, რამდენად გააქვთ თქვენი ნიჭის გამოვლენის საშუალება?
- თუ ადამიანი გრძნობს საკუთარ თავში ნიჭს და ძალას, მაშინ ის გარემო პირობების მიუხედავად მაინც გამოავლენს მას და არ დაიკარგება. მთავარია სურვილი.

შენი საყვარელი პოეტი ვინ არის?

- საყვარელი პოეტი ბევრი მყავს, თუმცა პირველი ვინც გამახსენდა ამ შეკითხვაზე, არის ოთარ ჭილაძე.
- რა არის შენი ყველაზე დიდი სურვილი?(პოეზიასთან მიმართებაში)
- ვისურვებდი, რომ უფრო მეტი პასუხიმგებლობა გამოგვეჩინოს ავტორებს და მკითხველებს პოეზიის წინაშე. გულისხმობ, იმას რომ არ გვეშინოდეს სიახლეების, რაც საჭიროა დღევანდელი ლიტერატურის განსავითარებლად.

ჩვენი რედაქციის სახელით წარმატებებს ვუსურვებთ დათოს და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში მის კიდევ ერთ კრებულს იხილავს ფართო საზოგადოება.

ლიკა დავდარიანი

აქვე გათავაზობთ დათო შალამბერიძის ერთ ლექსს

უკმარისობა

და ისევ გინდა სარდაფიდან ყველას მიმართო, ნაბიჯის მტვერში გაახვიე ფიქრის კილოები. არავინაა, არაფერი დღეს შენს მიმართ რომ უკმარისობა გიმკურნალოს მარადისობით.

რას ნიშნავს გაქრე? რას დატოვებს? ჩუმად! რა ხმაა?

არ ღირს სიკვდილი! შეიძლება, ღამე ვათო, მოწყვეტის განცდა, გაემზადე გადასარგავად, ჩამავალ ხის ძირს ლოკოკინა რომ მოახიო.

და მოშორებით, გაშლილ ველზე ვზივარ ქვესკნელი, ქრის საფეთქელთან ახელილი თეორიები, შემომამჩიხეს ძველ პროსპექტზე დასტა წესების და თვალის მოკვრით რამდენიმე შემოვიერთე.

დაჭრილი დევის თვალის სინათლე ტყეში დაკარგულს ვაგინათებს სასოწარკვეთას, რა გაჩერდება, თუ ღმერთი გწამს! აბა, დილამდე, რწმენით კი შეძლებ გაუნძრევლად იდეა წამებთან.

კარგი, არ გვინდა ეს დაკარგვა, თუ რას ეძახი, გაქცევა, წასვლა... გირჩენია, წამოთეატრში. რასაც იჩემებ, ნაფლეთია სხვისი ცხოვრების, ბედნიერი ხარ სიახლეს რომ გვიან ხედავ შენ.

ყოველდღიური განახლება, მორთვა-მოკაზმვა, მალე გასკდები გუშინდელი გაცვეთილობით, აქედან მოხვე, სველი ფხვნილით მანძილს მოხაზავ, სადაც არიფებს ისტუმრებენ თითო-თითობით.



დათო შალამბერიძე

არ კმარა ხალხი, ყურადღება, გარშემო, შენში... ვინც დაამოწყებს არსებობას შენსას ამაყად, მიაჭრი ჯიქურ მრისხანე და ფართო თვალებით, ვინც გინდა იყოს... მაგრამ, არა, ჯერ მზად არა ხარ!

სასაცილოა, გასართობიც არი უბაღლო, როცა ოცნებობ, განვილილ ხუთ წუთს იჭერ, იყენებ, ახალ სახეებს და ძველ შანსებს მომენტს უმატებ, ამით გართული უშუქნიშნების კვადრატს იყვედრებ.

ცივი, მზიანი ნოემბერი, მუდამ ასეთი... აგურის სახლებს ნაზად გაცრის მისი შუა დღე, სხივივით ტყდება გაწეული ნოტი კლარენტის, მზერას ავისგრი თეთრი წერის ნაფეხურამდე.

ყველაფერია ჩემში ერთად ჩაყრილ-დაცული და სინამდვილე უკან იწევს და ილუბება. მოვალეობას ჯერჯერობით კარგად ვასრულებ, მეც ამ ქალაქის ერთი უბე ვარ.

რას გვიჩადის ცეცხლოვანი მამლის წელი

საახალწლო რჩევები

სულ მალე მაიმუნის წელს გავისტუმრებთ და ახალი 2017წელი შემოადგება კარს, ეს დღესასწაული ყველასთვის განსაკუთრებულად საყვარელია და შესაბამისად, სამზადისიც გამორცეულად აქტიური და მასობრივია. ახალ წელს მოაქვს მხოლოდ მხიარული განწყობა, ბევრი საჩუქარი და გემრიელი სადღესასწაულო სუფრა. ის, თუ როგორ შეხვდებით ახალ წელს, განსაზღვრავს იმას, თუ როგორი წელი გვექნება მთელი 12 თვის განმავლობაში. მომავალი 2017 წელი აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, ცეცხლოვანი მამალია. ყველას ერთნაირად აინტერესებს, როგორი იქნება ცეცხლოვანი მამლის წელი, როგორ შეხვდეთ მას, როგორ მოგვითხოვს ახალი თუ ნაძვის ხესწორედ ამის შესახებ გთავაზობთ საინტერესო რჩევებს.

როგორი იქნება ცეცხლოვანი მამლის წელი?

მამალი მზეს ხვდება. მის ყვივლზე მაჯ ლაჯუნები ქრებიან. აქედან გამომდინარე, დადებითი სიმბოლოა. წელიწადი, რომელსაც მამალი მართავს, ძალიან კარგი იქნება. დიდი და რთული ციკლის დასასრულს და აღმშენებლობითი პროცესების დასაწყისს უკავშირდება მამლის წელი. ისტორიაშიც ბევრი კარგი მოვლენა მოხდა. მაგალითად, მამლის წელში დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. ჭკვიანი, აქტიური და ლიდერის სხვა თვისებებით დაჯილდოებული ბავშვები დაიბადებიან ამ წელს. მამლის ცული თვისება მისი ყოყლოჩინობაა. ეს აისახება ღია დაპირსპირებებში როგორც პოლიტიკაში, ისე საზოგადოებაში. წყვილებს შორის ხმაურიანი განქორწინებების მოწმენი გავხვდებით. კარგი იქნება, თუ შევიძინებთ თუნდაც გასაღების საკიდს მამლის გამოსახულებით, რომელიც მუდმივად ჩვენს გასაღებზე მოთავსდება და წარმატების მომტანი იქნება. გალერეაშიც უამრავი აქსესუარი შევნიშნებთ მამლის გამოსახულებით.

ზოდიაქოს რომელი ნიშნებისთვის იქნება 2017 წელი კარგი?

ყველა ზოდიაქოს ნიშნისთვის კარგი წელია. წარმატების მიღწევის შანსი ყველას ექნება. თუმცა ადამიანებს, რომლებიც მშრომლები არ არიან, თვითმოთხოვნა და თვითკრიტიკა არ გააჩნიათ, რეალურად ვერ გაუმართლებთ. იმ ადამიანების წელია, ვინც 2017 წლამდე მუხრჩაუბრელად შრომობდა და სწორედ ახლა მიიღებენ ამ შრომის შედეგს. განსაკუთ-

რებით კარგი წელია კურობებისთვის, ლომებისა და ვერძებისთვის. აბსოლუტურად ნეგატიური წელი არც ერთი ნიშნისთვის იქნება. თუმცა შედარებით მეტი პრობლემა მშვილდოსნებსა და თხის რქებს ექნებათ.

სად და როგორ სჯობს ახალი წლის შეხვედრა?

ზოგადად, მამალი სოციალური ტიპაა. მას მართობა არ უყვარს. არ გირჩევთ, მარტო და ვიწრო წრეში შეხვდეთ ახალ წელს. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთან ერთად იქნებით. მაგრამ ახალ ნაცნობებსა და ახალშეძენილ მეგობრებს არ გირჩევთ, რადგან მამალი გარემოს ყოველთვის დაკვირვებით არჩევს ხოლმე. რეკომენდირებულია ახალ წელს სახლში, ოჯახურ წრეში შეხვდეთ. 2017 წლის მფარველი უპირატესობას ოჯახურ ტრადიციებს ანიჭებს. ხმაურიანი მეგობრული კომპანია და მჭიდრო ოჯახური კავშირები აღმოსავლეთ ჰოროსკოპის ემოციურ სიმბოლოს მოეწონება. ბევრი ფოიერვერკი და მუსიკა უნდა იყოს. მომავალი წლის სიმბოლო ცეცხლისფერი მამალია.

რა ჩავიცვამთ ახალ 2017 წელს?

2017 წლის შესახებ დროულად საუკეთესო ფერების გამა მოოქროსფრო წითელია. არ ჩაიცვათ დეკორატიული და გამჭვირვალე ქსოვილი - ასეთ ფორმაში მამლის ყურადღებას ვერ მიიპყრობთ. ქალის იმიჯი უნდა შედგებოდეს კოქტეილის კაბით წითელი, ყვითელი ან პასტელური ოქროსფერი ფერებით და მალაქუსლიანი ფეხსაცმლით,

რომელიც ვიზუალურად აგრძელებს ფეხებს.

ასევე აქსესუარები ძირითად ფერებში. საუკეთესო დამატება იქნება ოქროს სამკაული ან მარგალიტი. მამაკაცებს შეუძლიათ, არც ისე ფორმალური ჩაცმულობით შეხვდნენ. მკაცრი კოსტუმის კომფორტის დონეს შეამცირებს, მაგრამ ახალი წლის შეხვედრა ყოველდღიურ ან სახლის ტანსაცმლით შეხვედრა მამლის თვალში ამორალურად გამოჩნდება.

როგორ მოვრთოთ სახლი და ნაძვის ხე?

სახლის მორთვის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მამლის საყვარელი ფერების გამა. თუმცა სახლის მოსართავად დაშვებულია მხოლოდ მწვანე და ლურჯი ფერები, რომელიც წითელ ფერთან ერთად სადღესასწაულო განწყობას შექმნის. გამოიყენეთ ბუნებრივი მასალებისგან დამზადებული ორნამენტები. ცეცხლისფერი მამალი ხელოვნური ხის მომხრეა.

განწყობის შესაქმნელად გამოიყენეთ რბილი მოსაცმელები, რომელიც ზამთრის ცივი დღეების კარგი კომბინაცია იქნება. საუკეთესო დეტალი საღამოს გასაფორმებლად იქნება მწიფე წითელი ვაშლები. საშობაო ვარსკვლავის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მამლის ფიგურა.

სასურველია, თუ ნაძვის ხის სათამაშოები წითელი და ნარინჯისფერი იქნება. ნაძვის ხის თავზე მამლის ფიგურა მოათავსეთ. კარგია, თუ ბევრი დეკორატიული კვერცი გექნებათ. კვერცხებით უნდა მოვრთოთ ნაძვის ხე და მის ქვეშაც შემოვაწყოთ.

როგორ უნდა შეხვდეთ ცეცხლოვანი მამლის წელს? როგორი უნდა იყოს საახალწლო სუფრა?

ყველაზე მთავარია, რომ სუფრაზე ფრინველის ხორცი არ გვექონდეს. სუფრა წითელ და ნარინჯისფერ ფერებში უნდა გავაწყოთ. უმჯობესია ცხვრის, ძროხის ან ღორის ხორცისგან მოამზადოთ კერძები. მენიუდან გამოიცილეთ: იხვი, ინდური, მწყერი. საახალწლო სუფრის მოსართავად კვერცხის გამოყენება რეკომენდირებული არაა. 2017 წელს სუფრას უნდა ამშვენებდეს რაც შეიძლება მეტი ბოსტნეული. არ უნდა დაივიწყოთ არც ხილი. გამოიყენეთ ღია ფერის საახალწლო ჭურჭელი. სინთეტიკისა და პლასტიკისგან თავი შეიკავეთ. გარემო ბრწყინვალეა და მიდრეკილი უნდა იყოს. ფანტაზიას მაქსიმალურად უნდა მივცეთ გასაქანი. როგორი ფერადიც მამლის ბოლოა, ისეთივე უნდა იყოს გარემო და იმავე ფერებში უნდა გვეცვას ჩვენც. ბევრი აქსესუარის გამოყენებაც სასურველია. ზოგადად, წითელი მთელი წლის განმავლობაში ტრენდული იქნება.

